№ 84
ოთხშაბათი, 18 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 84
ოთხშაბათი, 18 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10-6.—3)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—11)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან:

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს ამ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება კონსტანტინე იოსების ძის გიჟიმყრელის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ას ოთხმოცის (180) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უპირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული კონსტანტინე იოსების ძის გიჟიმყრელის, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—6.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ჰ. გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ფოთის ქალაქის გამგეობა,

საქალაქო დებულების 1 პარაგრაფის 130 მუხლისა და საბჭოს 1901 წლ. 6 თებერვლის დადგენილების თანახმად, აუწყებს ქ. ფოთის უძრავ მამულების პატრონთ, რომ დასაფასებელ **გარდასახადის შემოტანის ვადად** ყოველის წლის 1 ივლისია დანიშნული. დანიშნულს ვადაზედ შემოუტანელი გარდასახადი დარჩენილად ჩაითვლება და გარდახდილი იქმნება თითო პროცენტი ჯარიმის დამატებით თითოეულ ვადას გადაცილებულ თვეზედ. (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ბ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, წელს პეტერბურგში სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრება მოხდება. კრებაში მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ მეფუტკრეთა საზოგადოების წარმომადგენლებმა, მეფუტკრეებმა, სოფლის მეურნეებმა და სხვებმა. იმათ, ვისაც ჰსურს კრებაში მონაწილეობა მიიღოს, წინდაწინვე უნდა განუცხადოს თავისი სურვილი რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოების საბჭოს და გარდაიხადოს საწევრო ფული ერთი მანეთი. მოხსენებანიც აგრეთვე უნდა გაეგზავნოს საბჭოს. კრებას მრავალი საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი.

⁂ ბაქოში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ნავთის წარმოებაა, მთავრობამ 400 დესეტინა მიწა დაუთმო უსასყიდლოდ მუშათა სადგომების გასამართავად. აზრადა აქვთ ქალაქიდგან ამ ადგილამდე ელექტრონის გზა გაიყვანონ. სახლების ასაგებათა და გზის გასაყვანად საჭირო ფული ნავთის მწარმოებლებმა უნდა გადაიხადონ.

⁂ 15 აპრილს გომში მოხდა გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. კრებამ დაამტკიცა წასული წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვა. შემდეგ მოხდა ამხანაგობის თანამდებობის კაცთა არჩევნები. ამხანაგობის საქმეთა გამგე დირექტორად არჩეულ იქმნა თავ. კონსტანტინე მიხეილისძე ამირეჯიბი.

⁂ დღეს, 18 აპრილს, დღის 12 საათზედ, კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის დარბაზში მოხდება სჯარო ვაჭრობა ყარაიას სახაზინო ტბაში თევზის ჭერის 6 თვით უფლების გასაცემად 1901 წლის 18 აპრილიდგან 1 სექტემბრამდე.

⁂ ხვალ, 19 აპრილს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის სასწავლებელთა კომისიის სხდომა მოხდება, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია სულ 8 საქმე. კომისია, სხვათა შორის, განიხილავს ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებას ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში ცვლილებების შემოღების შესახებ; ქალაქის სასწავლებელთა მკურნალის ბ ნ ქალანთაროვის განცხადებას, რომელიც თხოულობს, ნება დაერთოს მას იმავე დროს საკომერციო სასწავლებლის მკურნალად დარჩენისა; შესაძლებელია თუ არა მოთავსდეს ქალაქის სასწავლებლის მკურნალის თანამდებობასთან სხვა უწყებაში სამსახური და სხვანი. სხდომა კომისიისა საღამოს 8 საათზედ დაიწყება.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ამ დღეებში რკინის გზის მოსამსახურეთ ცირკულიარით აცნობა, რომ მათმა მოსწავლე შვილებმა რკინის გზის შეღავათიანი ბილეთები ამიერიდგან თვით გამგეობიდგან უნდა აიღონო.

⁂ ორშაბათს, 16 აპრილს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს, რომელმაც განიხილა ზოგიერთი მიმდინარე საქმეები და დაადგინა: მიიღოს გამოფენის კომისარის მიერ შემუშავებული პროექტი გამოფენის უმთავრეს შენობაში განყოფილებათა მოთავსებისა და დაევალოს კომისარს, შეიმუშაოს წესები პავილიონში ნივთების დასაწყობ ადგილების გამართვისა და სხვანი. ამავე სხდომაზედ აღიძრა ლაპარაკი ექსპონანტების გაყიდვის შესახებ. კომიტეტმა დაადგინა, ნება დაერთოს მსურველთ თავიანთი ნივთების გაყიდვისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ გაყიდული ნივთები გამოფენის დახურვამდე ეწყოს პავილიონებში თავისს ადგილებზედ.

⁂ კავკასიის გამოფენის გამგე კომისარიატს გამოფენის უმთავრეს პავილიონის აშენება იჯარით გაუცია ერთის კაცისათვის 19,000 მანეთად იმ პირობით, რომ მთელი ხე ტყის მასალა გამოფენის დახურვის შემდეგ მასვე დარჩეს.

⁂ 14 აპრილს სხდომა ჰქონდა განსვენებულის ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის აღმასრულებელს კომისიას. კომისიამ განიხილა ქალაქის ტეხნიკოსების მიერ წარდგენილი სამი პროექტი ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობაზედ უძლურთა და ღარიბთა თავშესაფარის აშენების შესახებ. ეს პროექტები განიხილეს აგრეთვე ხმოსანტეხნიკოსებმა და საჭიროდ სცნეს ზოგიერთ ცვლილებათა მოხდენა.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას 16 აპრილამდის შემდეგ დაწესებულებათაგან მიუღია განცხადება მომავალ გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან, კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა, განჯის სახელოსნო სასწავლებლისა, კავკა-

სიის სამთო გამგეობისა და ტფილისის უსინათლოთა სკოლისაგან.

⁂ მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ კადეტთა კორპუსებისა და იუნკერთა სასწავლებლების მოსწავლეთათვის სავალდებულო გახადონ ცურვის სწავლება.

⁂ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მთავრობას, როგორც „ახ. მიმ."-ს ატყობინებენ, გადაუწყვეტია წელს ამ სკოლაში კლასიდგან კლასში გადასასვლელი ეგზამენები არ მოახდინოს. მოსწავლეებს წლის განმავლობაში მიღებულ ნიშნების მიხედვით გადაიყვანენ. სწავლა ამ სკოლაში გასტანს 20 მაისამდე. ინსპექტორის მეცადინეობით არსდება ქუთაისში დასახელებულ სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. უკვე შეუმუშავებიათ საზოგადოების წესდება, რომელსაც ახლო მომავალში მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლად.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს 205 ათასი მან. გადაუდვია ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირთან ბრძოლის დროს ხაზინაზედ დარჩენილ ვალების გასასტუმრებლად.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო თავის მხრივაც ნიშნავს თურმე საჩუქრებს მომავალ სამეურნეო გამოფენის ექსპონენტების დასაჯილდოვებლად.

⁂ 14 აპრილს, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საბეითალო განყოფილებაში ტფილისის გუბერნიის ბეითალთა კრება დაიწყო საძოვარ ადგილებში საქონლის გადარეკის წესებისა და საქონელზედ საბეითალო-საპოლიციო მეთვალყურეობის დაწესების შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ კავკასიის სამკურნალო გამგეობაში ლაპარაკი აღუძრავთ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ საფერშლო სადგურებისთვის საჭირო წამლების შესაძენად გადადებულ თანხის გადიდების შესახებ.

⁂ 12 აპრილს ზაქათალაში საშინელი სეტყვა მოსულა, რომელსაც 80 ათას მანეთის ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის.

⁂ დღეს, 18 აპრილს, ქალაქის საბჭოს დარბაზში ახლად დაარსებულ სასტამბო საქმეთა საზოგადოების „ჰუტენბერგის" წევრთა კრება მოხდება.

⁂ პოლიციის მე 9 ნაწილში გამოცხადდა მიხეილის ქუჩაზედ ექიმ გოკიელოვის სახლში მოსამსახურე მარგარიტა კანტი და განაცხადა, რომ 16 აპრილს, სადამოს 9 საათზედ ჩემთან შემოვიდა იმავე ეზოში მცხოვრები ივანე სურმო, ლამპა ჩააქრო და შეურაცხყოფის მოყენება დამიპირა, მაგრამ ყვირილზედ სხვებმა მომისწრეს და დამიხსნესო. პოლიციამ სურმო ტფილისის პირველ განყოფილების გამომძიებელს გადასცა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 15 აპრილს პოლიციის მე 9 ნაწილში გამოცხადდა იოსებ დ. სიმხევიჩი და განაცხადა, რომ ამ დღეს, სადამოს 8 საათზედ, ჩემთან მოვიდა ჩემი ნაცნობი სტეფანე ალპაიძე, რომელმაც მომპარა დაკეტილი ყუთი, სადაც ფულად მქონდა ჩემი 114 მან. და ჩემის ამხანაგის 11 მან. აგრეთვე ორი წიგნი ბანკში შენახულ ფულებისა ჩემი 70 მანეთისა და 100 მან. ჩემი ამხანაგისაო. კარგა ძებნის შემდეგ ალპაიძეს პოლიციამ მიაგნო და დააპატიმრა. გატეხილი ყუთი, რომელშიაც აღმოჩნდა 100 მან., და შემნახველი წიგნი დიდუბეში პოვეს.

⁂ ამიერ-კავკასიის ოლქის საბებიო ინსტიტუტში მოსწავლე ქალთა ეგზამენები 30 აპრილს დაიწყება.

⁂ გენ.-ლეიტ. ბუწკიაშვილმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ ქალაქმა სახელოსნო სახლის ასაგებად შეიძინოს იმისი მამული ორბელიანის ქუჩაზედ, მტკვრის მახლობლად.

⁂ ზემო-ავჭალის სოფლის მთავრობა, როგორც „ახ. მიმ." ს ატყობინებენ, იმ გლეხებს, რომელნიც ორშაბათობით მუშაობენ, ჯარიმას ახდევინებენ. ამ ფულით მოხელენი დუქნებში ქეიფობენ თურმე. კარგი იქმნებაო, სწერს გაზეთი, სოფლის მოხელენი ასეთის უკანონო მოქმედებისათვის პასუხის-გებაში იქმნენ მიცემულნი.

⁂ 16 აპრილს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ქალაქის საყასბოების ახლოს მეთევზეებს მტკვრიდგან გამოუთრევიათ ვიღაც დამხრჩვალის უცნობ კაცის გვამი. გამოძიებით გამორკვეულა, რომ დამხრჩვალი ტფილისის მოქალაქე ვასილ რაზმაძე ყოფილა, რომელიც ამ უკანასკნელს ხანში ცუდს ყოფა-ქცევაზედ იდგა თურმე და სიმთვრალის დროს მტკვარში ჩასულა; ბანაობის დროს ძალა ველარ მიუტანებია და წყალს წაუღია. დამხრჩვალის გვამი მიხეილის საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

◆

ქალაქის საბჭო

16 აპრილი.

ქალაქის გამგეობის წევრმა ხოსროევმა წაიკითხა ბორანის მოიჯარადრის ს. ბუდალოვის თხოვნა საიჯარო გირაოს შემცირების შესახებ. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც ბ-ნ ბუდალოვის გირაო შემცირებულ იქმნა 3000 მანეთამდის. გამგეობის წევრმა შესტაკოვმა წაიკითხა ქალაქის ფერშლად ნამყოფის პოდკოპაევის თხოვნა შემწეობის აღმოჩენის შესახებ. საბჭომ დაადგინა მიეცეს ბ ნ პოდკოპაევს ერთ გზის 240 მ. თავ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს ცნობილი შუამდგომლობა მართლმადიდებელ სასულიერო უწყების დეპუტატის, მამა კ. ცინცაძისა „ლოტკის გორაზედ" ეკლესიის ასაგებად საჭირო მიწის დათმობის შესახებ. როგორც მკითხველებმა უწყიან, გამგეობამ დაადგინა, დაეთმოს სასულიერო მართლ-მადიდებელ უწყებას „ლოტკის გორაზედ" 1200 ოთხკუთხი საჟ. მიწა ეკლესიისა, სამრევლო სკოლისა და მასწავლებლის სადგომის ასაგებად. ხმ. თავ. ბეპუთოვმა განაცხადა, რომ არც ერთს ტფილისის ეკლესიას, მათ შორის სიონისა და ვანქის საკრებულო ტაძრებსაც არა აქვთ იმდენი მიწა, რამდენსაც უთმობთ ჩვენ „ლოტკის გორაზედ" ასაგებ ეკლესიასო. საკმაოა დაუთმოთ 600—700 ოთხკუთხი საჟ. მიწაო. აქვე წაკითხულ იქმნა ნაძალადევის უბნის ეკლესიის მღვდლის გურგენიძის განცხადება, რომელშიაც მამა გურგენიძე სწერს, რა საჭიროა „ლოტკის გორაზედ" ახალ ეკლესიის აგება მაშინ, როდესაც მცხოვრებნი ჩემს ეკლესიაში დაიარებიანო. საბჭომ, მოისმა რა ამ საქმის ვითარება, დაადგინა, თავ. ბებუთოვის წინადადების თანახმად: დაეთმოს სასულიერო უწყებას ეკლესია-სკოლის ასაგებად „ლოტკის გორაზედ" 700 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. შემდეგ წაკითხულ იქმნა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის კ. ბ. ტერ-დავითიანცის თხოვნა შემწეობის აღმოჩენის შესახებ. საბჭომ დახურულის კენჭის ყრით დაადგინა: მიეცეს ბ ნ ტერ-დავითიანცს 200 მ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ ნაგვის გადასაზიდ ურმების შემოღების შესახებ. ბ-ნი თაიროვი და სხვა ხმოსნები ამბობდნენ, რომ ქალაქის ურემის მოსაწყობად გაწერილი გარდასახადი სასურველი არ არის და სჯობს თვით მცხოვრებთ იზრუნონ ნაგვის გადაზიდვისათვისო. ბოლოს წამოდგა ხმ. ანანოვი და მხურვალე სიტყვით დაუმტკიცა საბჭოს ასეთ ურმის შემოღების საჭიროება. საბჭომ თითქმის ერთხმივ დაადგინა: გააწეროს სახლის პატრონებს დასაფასებელ გარდასახადის 6°/₀ და მოაწყოს ქალაქის ურემი ნაგვის გადასაზიდად.

◆

კავკასიის მომავალი საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. *)

განყოფილება მე-XII. შინა და სახელოსნო მრეწველობა.

ლითონისა და თიხისაგან დამზადებული ნივთები.

ჯგუფი 1. საზეინკლო ნაწარმოები: კლიტე გასაღებები, ცულები, დანები და სხვა.

ჯგუფი 2. სამჭედლო ნაწარმოებნი: ნალები, ლურსმები, ჯაჭვები და სხვა.

ჯგუფი 3. სპილენძისაგან მომზადებული ნივთები: სხვა-და-სხვა ჭურჭელი და სხვა.

ჯგუფი 4. თუნუქისა, ცინკისა და მავთულისაგან გაკეთებული ნივთები.

ჯგუფი 5. ხმალ-ხანჯალი და სხვა იარაღი.

ჯგუფი 6. ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ოქრო-მჭედელთა ნაწარმოებნი.

ჯგუფი 7. თიხის ნაწარმოები: ჭურჭელი და სხვა.

მატყლისა, ბუმბულისა და აბრეშუმის ნაწარმოებნი:

ჯგუფი 8. მატყლისა და მატყლნარევი ნაწარმოები:

ა) მაუდი, შალი, თივთიკი, ხელსახოცები და სხვა.

ბ) ხალიჩები, ფალასები, ჯეჯიმები და სხვა.

გ) ნაბდები, ნაბდის ქუდები და სხვა.

ჯგუფი 9. ნართი, ქსოვილი და ბამბისა და სელის სხვა ნაწარმოები; ტილო, თოკი, ძაფი და სხვა.

ჯგუფი 10. აბრეშუმის ნაწარმოებნი; ძაფები და სხვა.

ჯგუფი 11. ქსოვილების შეღებვა.

სახელოსნო ნაწარმოებნი:

ჯგუფი 12. ტყავეულობა; ფეხსაცმელი, უნაგირები და სხვა.

ტიკები, რუმბები, ტყავის და სხვა საქონლის მომზადება.

ჯგუფი 13. ცხვრის ტყავისაგან სხვა-და-სხვა საქონლის მომზადება; ქუდების მომზადება.

ჯგუფი 14. სათერძო მრეწველობა: შეკერილი ტანისამოსი, საცვლები და სხვა.

ჯგუფი 15. ქარგაზედ ნაკერის და სხვა და-სხვა ქსოვილის მომზადება, ხელოვნურ ყვავილების მომზადება; ხელსაქმე.

ჯგუფი 16. ყაითნები და ზონრები, მათი მომზადება.

ჯგუფი 17. წიგნების ყდები და კარდონის ნაწარმოებნი.

ჯგუფი 18. სამუსიკო საკრავების მომზადება.

ჯგუფი 19. მებელის წარმოება.

ჯგუფი 20. რქისა, ხისა, ჩალისა, მავთულისა და სხვა მასალისაგან მომზადებული ნივთები.

ჯგუფი 21. აპპარატი და პრიბორები (ან მათი მოდელები), რომლებსაც შინა და სახელოსნო მრეწველობის დროს ხმარობენ.

ჯგუფი 22. საკანდიტერო ნაწარმოები.

---

*) იხ. „ივერია" № 82.

ფელეტონი

ორი ციხე

(ორი სურათი თუშების წარსულ ცხოვრებიდგან).

ვუძღვნი ძმ. რაზიკაშვილებს

(დასასრული *)

II

იმ დროს, როდესაც მტერი მიადგა გიგის ციხეს, ხუცის ციხის მეორე სართულში იწვა ავადმყოფი ოცდა ხუთის წლის ჭაბუკი—წიწო. გვერდს უჯდა ახალგაზდა ქალი, ქალსანე—მისი და და ცრემლ-მორეულის თვალებით შეჰყურებდა ერთად ერთ ძმას, რომელსაც თავს უსამართლო სიკვდილი დასტრიალებდა. სატკივარს მაგრად ჩაეშვა ბასრი და შხამიანი კლანჭები, ხანგრძლივის ტანჯვის შემდეგ მიეყვანა იმ დღემდე, როდესაც უნდა გამწყდარიყო მისი გაჭიმული სიცოცხლის ძაფი. იწვა ჭაბუკი თვალებ დახუჭული, ფერ-მკრთალი, სიგამხდრისაგან ლოყებ-ჩაცვივნული. სისუსტის ოფლს დაენამა მისი გაშლილი თეთრი შუბლი. ხანდახან აახელდა თვალებს, შეჰხედავდა ნაღვლიანად დას, შემდეგ სხვა ქალებს, რომელნიც თავშესაფარად ციხეში შეხიზნულიყვნენ. გავარდა თოფი, მეორე, მესამე. თოფის ხმაზედ შეკრთა ავადმყოფი, გააფეთა თვალები და მიაშტერდა დას.

— დაო!.. მისუსტებულისა და ნელის ხმით მიუბრუნდა ქალსანეს რამდენისამე ხნის შემდეგ.

— აქ ვარ, ძმაო, რა გინდა? უპასუხა ხმის კანკალით დამ და მიიწია მისკენ.

— თოფის ხმა მესმის, რათ ისვრიან?

— ისე ისვრიან... გასართობად... დამშვიდდი... უპასუხა დამ და პირი მოარიდა, რომ მოეწმინდა ცრემლები, რომლებიც ღვარად ჩამოსდიოდა თვალთაგან.

— მაშ ამ ქალებს რისთვის მოუყრიათ ჩვენ ციხეში თავი? ჰკითხა ისევ ეჭვში შესულმა ავადმყოფმა, და მიაცქერდა შეხიზნულ მანდილოსნებს, რომელნიც იქვე უძრავად იდგნენ ცრემლ-მორეულნი.

— შენ სანახავად მოვიდნენ, განა აქამდინაც არ მოსულან, დააშოშმინა ისევ ქალსანემ.

გახშირდა თოფის სროლა. თითქო მთა მთას ეცაო, ატყდა ჭექა-გრიალი და მას ზედ მოჰყვა ქისტების კიჟინიც. თოფის გრგვინვასა და ქისტების კიჟინზედ ლოგინიდან წამოიწია ავადმყოფმა.

— დაო, არ გესმის თოფის ჩქამი და კიჟინი?!. მოუთმენლად წამოიძახა წიწომ: წყეული ურჯულო თავს დაგვეცა... აბა იარაღი ჩქარა!..

ამ სიტყვებით ავადმყოფმა დააპირა წამოდგომა. წამოდგა კიდეც, მაგრამ სისუსტისაგან თავს ბრუ დაესხა. წაბარბაცდა და დავარდა ისევ თავის ლოგინზედ.

— რას შვრები, ძმაო, ტირილით მივარდა სასოწარკვეთილი და გულმიხდილ ძმას: ადგომას როგორ შესძლებ!..

ყრუდ გაისმოდა შეხიზნულ მანდილოსნების ქვითინი. გიგის ციხე, როგორც ითქვა ზემოდ, შთანთქა ცეცხლის მორევმა და მისი პატრონი გიგის ლაგაზი დაეცა მკვდარი მტრის სისხლით შეღებილ ხმლით ხელში თავის ციხის წინ სხვა თანამეომარ მანდილოსნებთან ერთად. ჯერი მიდგა ხუცის ციხეზედ. გამარჯვებით გალაღებული ქისტები მიადგნენ ციხეს და კიჟინით გაჰხვიეს ისიც თოფის ალში. სისხლის მსმელი, დაუნდობელი ტყვია მოდიოდა ზუზუნით, მაგრამ რას დააკლებდა სიმაგრით განთქმულ ხუცის ციხეს, რომელსაც დიაღ რომ ბევრჯელ ენახა მტერი, მისი ქარ-ბუქი და ცეცხლის ალი. ბევრჯელ შეენახა მას გაჭირვების დროს თავისის კალთის ქვეშ წაროელები და ეხლაც ამაყად იდგა ზეცისაკენ თავ-აშვერილი და თითქო დაცინვით დაჰყურებდა ქისტებს!—ციხე მაგარი იყო, მაგრამ არა ჰყავდა შინ თავისი მეომრები, „მთის არწივებად" წოდებული წაროელები. შინ რომ დაჰხვედროდნენ, შეანანებდნენ კიდეც ქისტებს თავ-ხედს კადნიერებას. სად გაგონილიყო წაროს მტრისგან გატეხა, თუმცა ბევრჯელ დასცემიან თავს?!. მამაცობით განთქმულ წაროელებს ბევრჯელ გამოუგლეჯიათ მტრის ხელიდგან სხვა თანამოძმეების სოფლები და ციხე-კოშკები. მათი ბრძოლის ველზედ გამოჩენა ერთი ორად გამარჯვების იმედს უმატებდა თანამოძმეებს და თავს ზარსა სცემდა მტერს... არ იყვნენ შინ. ჰელომ გაიწვია საშველად. ციხე დარჩა მანდილოსნებისა, ბავშვების და სიცოცხლე მიწურულ ავადმყოფის ამარად!..

— ჩვენ ციხეს მოადგნენ ეგ წყეულები!.. წამოიძახეს ქალებმა.

— ჩვენ ციხეს... ქისტები... არეულად წარმოსთქვა ქალების ძახილზე გონს მოსულმა ჭაბუკმა.

— ჩვენ მამაპაპის სულს გაფიცებ, ქალსანე, მიუბრუნდა დას: ჩამომიღე თოფი და მიმიყვანე სათოფურესთან...

— არა... შენი ჭირიმე, წიწო... ნუ ჰღელავ, გევედრები დამშვიდდი, ძმაო!.. ტირილით ემუდარებოდა, — აი ჩვენ აქ არა ვართ, ჩვენ ვეომებით, განაგრძო რამდენისამე სიჩუმის შემდეგ მანდილოსანმა: განა ჩვენც, ქალები, თქვენის სისხლ-ხორცისანი არა ვართ?!. განა ჩვენ-კი არ გვიდუღს ძარღვებში ჩვენის მამა-პაპის სისხლი!.. ჩვენც კარგად ამოვიღებთ მიზანში მტერს, ჩვენც მოვიქნევთ ხმალს და დავატრიალებთ ხანჯლებს... ჩვენც ისეთივე გული გვიცემს მკერდში!..

— აბა, ქალებო, მიუბრუნდა შემდეგ მანდილოსნებს ქალსანე და ამ სიტყვებზედ თვალებში ელვამ გაუარა, სხვილი ყორნის-ფრთა წარბები შეეჭმუხა და სახეზედ ალმური აუვარდა: რაღას ვუყურებთ, გადვიგდოთ მანდილები, ავისხათ იარაღი და მივუსხდეთ სათოფურეებს!..

ამ სიტყვებით ჩამოიღო კედლიდან ძმის იარაღი, აისხა, მოამზადა ტყვ

---

*) იხ. „ივერია" № 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფი 23. ქვისაგან მომზადებული ნივთები.

შენიშვნა. ამ განყოფილებისათვის შეუძლიანთ თვით ხელოსანნი და შინამრეწველნი მოვიდნენ თავიანთის იარაღითა და მოწყობილებით იმის საჩვენებლად, თუ როგორ ამზადებენ სხვა-და-სხვა ნივთებს.

განყოფილება XIII. საქარხნო წარმოება.

ჯგუფი 1. ფქვილი პურისა, ქერისა, სიმინდისა და სხვა, ყველა ხარისხისა; ქატო, ნაღერღი და სხვა არა ნაკლებ თითო ფუთისა. მაკარონი და ვერმიშელი.

ჯგუფი 2. კრახმალი და კართოფილის ბადაგი.

ჯგუფი 3. მცენარეულობისაგან მომზადებული ზეთი: კანაფისა, კუნჟუთისა, კაკლისა, ბამბისა და სხვისა, გაუწმინდავი და გაწმენდილი არა ნაკლებ ხუთ-ხუთი გირვანქისა.

ჯგუფი 4. სასმელები:

ა) პურის არაყი, სპირტი, ლიკერები და სხვ.

ბ) ლუდი, პორტები, თაფლის სასმელი, კვასი და სხვა.

გ) სამკურნალო წყლები, შუშხუნა და გასაგრილებელი სასმელები.

ჯგუფი 5. თამბაქო დაჭრილი, დაფხვნილი, სიგარები, პაპიროსები, „მახორკა“ და სხვა.

ჯგუფი 6. სანთელი: ქონისა, ფიჭისა და სტეარინისა.

ჯგუფი 7. საპონი უბრალო და სატუალეტო; კოსმეტიური ნაწარმოები.

ჯგუფი 8. ტყავები და ტყავის ნაწარმოები; ფეხსაცმელი.

ჯგუფი 9. საღებავები, ლაქები, ფუნფუშის წარმოება და სხვა.

ჯგუფი 10. შუშის წარმოება.

ჯგუფი 11. ბამბისა, აბრეშუმისა და მატყლისაგან მომზადებული საქონელი.

ჯგუფი 12. საამშენებლო მასალა: აგური, კრამიტი, მილები, კირი, ცემენტი და სხვ.

ჯგუფი 13. თუნუქისაგან მომზადებული ნივთები.

ჯგუფი 14. ლითონის ნაწარმოები: რკინისა, თუჯისა და სხვა ლითონისაგან მომზადებული ნივთები.

ჯგუფი 15. ხისაგან მომზადებული ნივთები: პარკეტები, ბილიარდები და სხვ.

ჯგუფი 16. ძირ ტკბილის წარმოება.

ჯგუფი 17. საკონფეტო ქარხანათა ნაწარმოები.

ჯგუფი 18. სამუსიკო საკრავები.

ჯგუფი 19. საეტლო ქარხანათა ნაწარმოებნი.

ჯგუფი 20. საქარხნო სურათები: თხზულებანი, რომელიც ეხება კავკასიის შინა, საქარხნო და სამრეწველო წარმოებას.

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

მთავრობამ გადასწყვიტა ამა მიმდინარე წლის პირველ რიცხვიდგან მოუმატოს ჯამაგირი სამხედრო სამოსამართლო უწყებაში მოსამსახურეთ. ამ მოსამსახურეთა ჯამაგირი 20°/₀-ით იქმნება გადიდებული.

— სახელმწიფო საბჭოს მინდობილებით ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ნორმალურ წესდებისა სააქციონერო საზოგადოებათათვის. პროექტი სხვა-და სხვა დაწესებულებას გაეგზავნა განსახილველად და თავისს აზრის გამოსათქმელად. სახელმწიფო საბჭოს ეს პროექტი წელსვე წარედგინება განსახილველად.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს დაარსოს საგუბერნიო გიმნაზიებთან სპეციალური კურსები სოფლის მწერალთა მოსამზადებლად. კურსებზედ სწავლის ვადა ორი წელიწადი იქმნება. სწავლის დამთავრების შემდეგ მოსწავლენი ერთ წელიწადს საგუბერნიო და სამაზრო გამგეობასთან იმსახურებენ, შემდეგ სოფლებში იქმნებიან გაგზავნილნი. ხაზინიდგან მოსწავლეებს მცირე სტიპენდია მიეცემათ.

— სამხედრო უწყებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას დებულება სამხედრო სამღვდელოების პენსიათა შესახებ. პენსიები სამხედრო ეკკლესიების შტატის მედავითნეთაც დაენიშნებათ.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის ხარჯთ-აღრიცხვაში ამ წელს 400 მილიონ ფრანკის დეფიციტია აღნიშნული.

კანცლერმა მიკაელ გიქს ბიჩმა პარლამენტის სხდომაზედ ის აზრი გამოსთქვა, რომ დეფიციტის დასაფარავად სესხი იქმნეს აღებული და გარდასახადს მოუმატოს. რაც უნდა მალე გათავდეს ომი, სესხის აღება მაინც აუცილებლივ საჭირო იქმნებაო, სთქვა გიქს ბიჩმა. ტრანსვაალი და ორანჟეს რესპუბლიკა ომის შემდეგ სრულიად განადგურებულნი იქმნებიან და დიდ ხნობამდის არ შეეძლებათ დეფიციტის შევსებაში რაიმე მონაწილეობა მიიღონო.

— „ჩემის აზრით, შეუძლებელია ახლავე წინანდებურად დაჟინებით გავიძახოდეთ, რომ ტრანსვაალის ომი პატარა ომიაო, — სთქვა გიქს-ბიჩმა (ოპოზიციის მხრიდგან ტაშის კვრა ისმის). როგორც ხარჯი გვიჩვენებს, ტრანსვაალის ომი ძალიან დიდი ომი ყოფილა. დანამდვილებით შემიძლიან გაცნობოთ დღემდის ეს ომი რამდენი დაგვიჯდა: სულ 153 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ე. ი. 1.453.000,000 მანეთი. ეს ერთი-ორად მეტი გამოდის, ვიდრე ყირიმის ომზედ დაიხარჯა და 1813—1814 წლების ომზედ გაცილებით მეტი, რომელიც ქვეყნისათვის დამღუპველად ითვლებოდა და დაჯდა სულ 144,580,000 გირვანქა სტერლინგი. ეს ორივე ომი ერთად უფრო ნაკლები დაჯდა, ვიდრე ინგლის-ტრანსვაალისა და ჩინეთის ომი. ყველა ამის გამო, ჩემის აზრით, შეუძლებელია, დროებითი სესხით დავკმაყოფილდეთ და ხანგრძლივი სესხი არ ავიღოთო“.

პასუხი გიქს-ბიჩს უილიამ გარკურმა მისცა და მთავრობის პროექტები სასტიკად გაჰკიცხა, განსაკუთრებით-კი გარეთ გასატან ნახშირზედ მომატებული გარდასახადი, რომელიც ინგლისის ნავოსნობას დიდ ვნებას უქადის.

„ეს ბიუჯეტი მხოლოდ სამწუხარო ინციდენტია იმ დამღუპველ გაიძვერობისა, რომელშიაც ჩვენ ჩაგვითრიეს და რომლის დასასრულსაც ჯერ მაინც ვერა ვხედავთო,—სთქვა გარკურმა.

ამ ჟამად მთავრობას აღარ შეეძლო დავერწმუნებინეთ, რომ ომი მალე გათავდებოდა. დღემდის მთავრობამ 127 მილიონამდე სესხი აგვაღებინა რომელიც ოთხჯერ მეტს შეადგენს, ვიდრე ყირიმის ომზედ დავეხარჯეთ. ტრანსვაალის ომი 148 მილიონი დაგვიჯდა, მაგრამ განა ხარჯი ამითი თავდება? ახალის ახალშენების მმართველ-გამგეობა და პოლიციაც საშინლად ძვირად დაგვიჯდებაო.

დღევანდელი ჩვენი მთავრობა ინგლისის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულს ადგილს დაიჭერს, რადგანაც მან გვაიძულა მთელის ნახევარ-საუკუნის განმავლობაში შენახული და დაზოგვილი ფული დაგვეხარჯაო“.

მიუხედავად ამისა, მთავრობამ შაქარსა და ნახშირზედ წასამატებელი გარდასახადი მაინც მიიღო.

ჩინეთი. ჩინეთში გამოსული გაზ. „Pekinger Deutsche Zeitung“, რომელშიაც სიტყვა-სიტყვით დაბეჭდილია განკარგულებანი პეკინის ნაწილის გერმანიის სამხედრო მმართველობისა: ვისაც კი ხელში იარაღს უნახავენ, დაუყოვნებლივ სიკვდილით იქმნება დასჯილი; თუ რომ თოფი სახლიდგან დაიცლება, სახლი მაშინვე დაქცეული იქმნება და ცეცხლს წაუკიდებენ; როგორც-კი ოფიცრები იარაღს მოითხოვენ, მცხოვრებნი იძულებულნი იქნებიან დაუყოვნებლივ ჩააბარონ; სახლს, სადაც-კი იარაღს ჰნახავენ, მაშინვე ცეცხლს გაუჩენენ; მძარცველნი დანაშაულობის ადგილზედვე სიკვდილით იქმნებიან დასჯილნი. თითოეული ჩინელი ვალდებულია აღნიშნულ განკარგულებათ შიშითა და ძრწოლით ემორჩილებოდეს. განკარგულებას ქვეშ ფონ-გეპფნერის ხელი აწერია. გარდა ამისა, ქვეით დაბეჭდილია განკარგულება პრეფექტისა, რომლითაც ქუჩების უსუფთაოდ შენახვისათვის მცხოვრებნი ჯოხით უნდა იქმნენ ნაცემნი. განკარგულებაზედ ხელი პრეფექტს კორდესს უწერია. დასასრულ, აქვე დაბეჭდილია კიდევ ერთი განკარგულება, რომლითაც ყველა ჩინელს საღამოს რვა საათიდგან დილის 4 საათამდე უფარნოთ სიარული სასტიკად აღკრძალული აქვს; დამნაშავეს ჯოხით ცემა არ ასცდებათ და სხ...

აი, თურმე ევროპის განათლებულ ერებს რა ცივილიზაცია შეაქვთ ჩინეთში და როგორა ჰსურთ მშვიდობიანობა დაამყარონ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

მონაკოში ამას წინად უკვე დაიწყო საერთაშორისო კონგრესი საზღვაო საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად. კონგრესმა, სხვათა შორის, შემდეგი საგნები უნდა განიხილოს: შემწეობა დახმარების აღმოჩენა ზღვაზედ უბედურობის დროს, ზღვის ნაპირების განმანათებელ საერთაშორისო საზოგადოების დაარსება; უმავთულო ტელეგრაფი ზღვაზედ; მტრედთა ფოსტა ზღვაზედ; საერთაშორისო სასამართლო საზღვაო საქმეთა განსახილველად და სხვანი.

* * *

ბერლინში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია პოლიციის მიერ ამას წინად აღმოჩენილმა ერთმა საზიზღარმა საქმემ. ამ საქმის გმირი ვიღაც ელისაბედ ბრიუგერია, 60 წლის მოხუცი. ქ-ნ ბრიუგერს მთელი ბერლინის არისტოკრატია იცნობს თურმე. ყველა ამ ქალბატონს მოდის ტანისამოსის მკერავ ეგონა, მაგრამ ნამდვილი ხელობა ქალისა სულ სხვა რამე ყოფილა: ბრიუგერის მეტად მდიდრულად მოწყობილ „სალონში“ ყოველ ღამ აუარებელი მანდილოსანნი, ქალწულნი (ხშირად 14—15 წლისანი) და მაღალის საზოგადოების „კავალერები“ იკრიბებოდნენ ხოლმე „დროს გასატარებლად“. პოლიცია იმ დროს დაეცა ამ სახლს, როდესაც იქ შეკრებილნი ასე დროს გატარებაში იყვნენ გართულნი. ყველანი ეტლებში ჩასხეს და გაისტუმრეს პოლიციის სადგომებისაკენ. დაპატიმრებულ მანდილოსანთა და კავალერთა შორის მრავალნი ბერლინის უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნიან თურმე.

* * *

ამა წლის ზაფხულს 9 ექსპედიცია მიდის ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ ამ პოლიუსის მახლობლად მდებარე ადგილების გამოსაკვლევად. აი ეს ექსპედიციები: 1, ამერიკელთა ექსპედიცია ბალდუინის წინამძღოლობით; 2, კანადის ექსპედიცია კაპიტანის ბერნიეს წინამძღოლობით; 3, ფრ. ნანსენისა და ჰერცოგის აბრუცის ექსპედიცია; 4, კაპიტნის სტეკკენის ექსპედიცია (ეს ექსპედიცია იმ სამი კაცის მოსაძებნად მიდის, რომელნიც აბრუცის ჰერცოგის ექსპედიციის დროს დაიკარგნენ); 5, რუსთა ექს-

---

ამალი და მიუჯდა სათოფურეს. მას იჰყვნენ სხვა მანდილოსნებიც.

დის სიტყვებზედ გული ამოუჯდა მას და ორი ცრემლის წვეთი ჩაჰ-ოგორდა მის გაყვითლებულს ლოყებზედ...

— ეჰ, ოხერო სატკივარო, რა ცუდს დროს მეწვიე... ნუ თუ იმისათვის მტანჯავდი აქამდე, რომ ეს უბედური დღე მენახა!.. ნაღვლიანად ამოიკვნესა ქაბუკმა და თვალებში ცრემლ-მორეულმა ისევ ბალიშზედ მისდო თავი.

იგრიალა ციხიდგან ქალების თოფებმა.

— აჰა, ძმაო, სულეთს გვიზიდოს წყალი, თუ დღეს დავთმეთ*) თავი!.. წამოიძახა ქალსანემ, რა გააგორა ქისტი. ეს სიტყვები საკმარისი იყო ავადმყოფისათვის... გული აუტოკდა, ძარღვებში ჟრიამულმა გაუარა. დაავიწყდა სატკივარი. თითქო ძალა მოეცაო, წამოიწია, ჩამოვიდა ტახტიდგან, გადადგა რაცრაცით ორიოდე ნაბიჯი სათოფურისაკენ, სადაც ესროდა თოფს ქალსანე, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა, თავს ბრუ დაესხა, გაქან-გამოქანდა და ტყაპანით დაეცა პირქვე იატაკზე.

— წიწო!.. საშინლად დაიკივლა ქალსანემ, რა მოიხედა და დაინახა იატაკზე მწოლარე ძმა, მივარდა, მოჰკიდა ხელი ასაყენებლად, მაგრამ ქაბუკი უკვე მორჩენილიყო ტანჯვისაგან...

— წიწო!.. ძმაო!..—დაჰბუოდა ძმის უსულო გვამს უბედური და, — რა ჰქენი, რა მიყავი ეს?!.. თავი რად დამანებე, რასა ჰფიქრობდი: სად წავიდე, ვის მივმართო დაობლებულმა?!. რა პასუხს აძლევ ამ ჩვენს ციხეში შემოხიზნულ ქალ-რძლებს... ხომ შენ იმედზედ შემოიხიზნენ, შენი იმედი ჰქონდათ... შენ რაღას ეუბნები ან ამ ქისტებს, რომელნიც მიწასთან გასწორებას უქადიან მამაპაპით შენთვის ნაანდერძევ ციხეს?!. რა პირით უნდა წარუდგე ჩვენს მშობლებს: უნდა სთქვა, —მტერი კარს მოგვადგა, ცეცხლში გაჰხვიეს ციხე და მე ამ დროს თავი მივანებე და აქ წამოვედიო?!. კარგი... წადი... მე დავუხვდები მტერს... მე დავიცავ ციხეს... მაპატიე-კი, ძმაო, რომ მე ქალმა შემოვირტყი შენი ხმალი!..

— სანგალი!.. შეშა!..—გაისმა გარედგან ქისტების კიჟინი.

— ვაი ჩვენს თავს, ცეცხლს უკიდებენ ციხეს!—წამოიძახეს მეომარ-მანდილოსნებმა და უფრო გაახშირეს თოფის სროლა, რომ არ მიეტანინებინათ სანგალი ციხის ძირს.

— არა უშავს რა, მეც ჩქარა მოგეწევი, ძმაო!..—ამოიკვნესა ქალსანემ, როცა დაინახა ბოლი, და ისევ მივიდა სათოფურესთან თოფის სასროლად.

მაგრამ სადღა შეეძლო ქალსანეს თოფის სროლა? ხელები უკანკალებდა, ცრემლ-მორეული თვალი ვეღარ უჭრიდა, რომ მტერი მიზანში ამოეღო. ესროდა თოფს, მაგრამ არც-კი იცოდა საით და რომელს.

პატარა ღრუბლის ნაჭერი მიჰკვროდა ნაროვნის მთის წვერს. შუადღისას ეს ნაჭერი ნელ ნელა გადიდდა, აიმღვრა ნაცრის ფერად, გაშალა ფრთები და გადაეკრა თუშეთის ხევებს. ჩამოუქროლა ნელმა ნიავ-ქარმა და მალევე შესწყდა. დადუმდა ბუნება, თითქო ტკბილს ძილს მიეცაო. მთის კალთებზედ მიკრული არყის ფოთლებიც-კი აღარ ინძრეოდნენ. ძირს ხევში ალაზანიც გაინაბა თავისს ჩაღრმავებულ ვიწრო კალაპოტში, ხოლო მისის ტალღების ნელი სრბოლა და მათი კლდოვან კიდეებთან ჩურჩული-ღა ისმოდა; წოვათის წყალმაც შესწყვიტა გაშმაგებული ღრიალი. ზეცისაკენ ამაყად აშვერილმა ფიჭვებმა დაჰხარეს თავი. თითქო ციდგან ღვთის რისხვას მოელოდნენ.

გაიგრიალა ცამ, მხოლოდ ყრუდ და მალევე შესწყდა. ჩამოვარდა მარცხად რამდენიმე მსხვილი წვიმის ცვარი. გაიგრიალა მეორედ და ეხლა-კი ზარად მოევლინა მიდუნებულ მთა-კლდეებს და ხევ-ღრეებს. გრგვინვა ჰექა ქუხილად გარდაიქცა. მას მოჰყვა ღრიალით სეტყვა. ჰექა-ქუხილმა და სეტყვის გაშმაგებულმა ღრიალმა ისეთი ზარი დასცა იმ არემარეს, რომ ადამიანი-კი არა, მხეციც-კი თავშესაფარად გამოქვაბულისაკენ გაეშურა. მალე გაათეთრა სეტყვამ მთის კალთები. ფერდოებიდგან ჩამოწვა სეტყვის ზვავები ღრეებში, რომლებშიაც ღრიალით მიექანებოდა ქვების რახა-რუხით ამღვრეული ნიაღვრები ხევებისაკენ.

ქისტებს არ დასცალდათ ციხისათვის ცეცხლის წაკიდება. შესწყდა სეტყვა თუ არა, გაჩქარებით გზას გაუდგნენ ნადავლით, რომ ჰელოში წასულ წაროელებს არ მოესწროთ.

—

ჩრდილოეთ-დასავლეთიდგან დაჰბერა ქარმა და გაჰფანტა დალეული ღრუბლები, რომლის გათეთრებული ნაწყვეტებიც მოედო აქა-იქა მთის მწვერვალებს. მოწმენდილ მტრედისფერ ცაზედ მოჰგორავდა ქვეყნის მნათობი და უხვად აფრქვევდა სხივებს გავერანებულ წაროსა და მისს დასეტყვილ არე-მარეს... ნაღვლიანად გამოიყურებოდა ჩარდახ-ჩამოქცეული და კედლებ-გაშავებული გიგის ციხე, რომლის გარშემოც ეყარა მისი დახოცილი მეომრები... აქა-იქა სოფლის ვიწრო ორღობეებსა და ღრეებში გამოსჩანდნენ ნიაღვრისაგან წალეკილი და მინაშული ხმლებით დასხვეპილი მათი თავები და მხარმკლავები... მათ ზედ დაჰბუოდნენ ხუცის ციხეში გადარჩენილი მანდილოსნები, რომელთა გოდება და მოთქმა უერთდებოდა ძირს ხევში ადიდებულ ალაზნის გაშმაგებულს ღრიალს და ზეცას ღაღადით ადიოდა...

ხუცის ციხიდგან-კი გამოისმოდა დაობლებულის ქალსანეს გულ-მოსაკლავი კივილი: „წიწო, ძმაო!..“

ივ. ბ—ლი

---

*) დავიხოცებით.

პედიცია, ადმირალის მაკაროვის წინამძღოლობით; 6, გერმანელთა ექსპედიცია; 7, ლეიტენანტის პირის ექსპედიცია; 8, რობ. შტეინის ექსპედიცია და 9, ბარონ ტოლის ექსპედიცია.

* * *

ერთ ფრანგულ ჟურნალს საყურადღებო ცნობები შეუკრებია იმის შესახებ, თუ გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში რამდენადაა გავრცელებული სპორტი. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, საფრანგეთში ისეთ გასართობ და საგიმნასტიკო საზოგადოებებს, რომელთაც აზრად წყალში ცურვა აქვთ, სულ 6,000 წევრი ჰყავთ, გერმანიაში—7,000, ინგლისში—40,000 წევრი; დაშნით მოვარჯიშე საზოგადოებებს: საფრანგეთში—25,000 წევრი, გერმანიაში—20,000, ინგლისში—5,000 წევრი; ატლეტიკისა, ფუტბოლისა, ტენნისის და სხვა საზოგადოებებს: საფრანგეთში—50,000, გერმანიაში—10,000, ინგლისში—600,000 წევრი; საგიმნასტიკო საზოგადოებებს: საფრანგეთში—41,262, გერმანიაში—554,757, ინგლისში—5,000 წევრი; საველოსიპედო საზოგადოებებს: საფრანგეთში—75,000, გერმანიაში—200,000 და ინგლისში—180,000 წევრი.

◆

წარსულს წელს ქ.ქ. ქუთაისსა, ოზურგეთსა და დ.დ. სამტრედიასა, ზუგდიდსა და ნაგომარში გამართულ გამოფენა-კონკურსების ექსპონენტებს კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ შემდეგი ჯილდოები მიუსაჯა:

ქების ფურცლები:

(დასასრული *)

ზუგდიდის გამოფენაში:

95, ცაიშის ერთ-კლასიან სკოლას; 96, ჩაბუკიანს ნინას; 97, ნაჯიხევის ორ-კლასიანს სკოლას; 98, ხეთის ორ კლასიანს სკოლას; 99, დარჩელის ერთ-კლასიანს სკოლას; 100, შენგელიას ქეთოს, 101, შანავას დარეჯანს; 102, შანავას სოფიოს; 103, პაპასკურს ალექსის; 104, შანავა აგაფიას; 105, ტატია, სოფ. წალენჯიხა; 106, გვადუავას ფაჩუს; 107, საბახტარაშვილს მენიკას; 108, პიპიას გიორგის; 109, ლუქავა ხაის; 110, ხუბუთია მაკრინეს; 111, გარდავას ნინა სოსოევის ასულს; 112, შენგელიას მინადორას; 113, ჯორჯიკიას; 114, კნ. ჩიჟავას ქვაქას; 115, მესხს მარიამს; 116, დარასელიას კიტას; 117, ეკონიას ანასტასიას; 118, თოდუას ნატალიას; 119, კაკულიას აგაფიას; 120, კაკულიას მარიამს; 121, ფაჟავას ცაუს; 122, დარასელიას დოანეს; 123, ჩოთა ბუალიას; 124, ბულიას კეკელას; 125, შენგელიას მათუას; 126, კნ. აფაქიძისას ესმას; 127, გეთიას ნინას; 128, კვარაიას ანასტასიას; 129, ცულაისკირის ნინას და 130, პელაგია მესხისას.

ოზურგეთის გამოფენაში:

131, ნიგოითის ორ-კლასიანს სკოლას; 132, ნიკოლაიშვილს სილოვანს; 133, ცინცაძეს ცუნუს ანტონის ასულს; 134, ლომაძეს ერემიას; 135, ჯორბინაძეს აგაფია მაქსიმეს ასულს; 136, გოგაძეს ლიზას; 137, მოისრაფეშვილს მარიას გაბრიელის ასულს; 138, ჯაყელს ნატალიას სპირიდონის ასულს; 139, თოფურიას ნატალია გაბრიელის ასულს; 140, პატარაიას კესა ივანეს ასულს; 141, მამულაიშვილს ევას; 142, სარჯველაძეს სოფიოს, 143, ნიკოლაიშვილს პუპის; 144, წილოსანს ბაბუსის; 145, ურუშაძეს ლასიანას; 146, მოისწრაფეშვილს მარინე ადალოვისას; 147, არაგველიძეს თებრონას; 148, ჯორბენაძეს მარკოზს; 149, თორონჯაძეს ფოტინეს; 150, ჟღენტს ეკატირინე ნიკოლოოზის ასულს; 151, აროშიძეს მოსიკას; 152, ჯორბენაძეს ტერეზიას; 153, ქანთარიას ლიზას; 154, თუმავის ასულს; 155, სოფიო ალექსანდრეს ასულს; 156, ტროპაიძეს ლიდიას; 157, ჭყონიას ელპიტეს; 158, სარიშვილს ბაბილონას; 159, ბაქუნაიშვილს მინას; 160, იორაიშვილს მარინას და ლომინაძეს ლიზას; 161, ღლონტს შაშიკოს; 162, ბერეჟიანს გოდოლას, სოფ. ხიდისთავში; 163, აროზელიძეს ნატალიას; 164, სულუხიას მატრონას; 165, კალანდარიშვილს მართა იასეს ასულს; 166, გორგოშიძეს ესმას; 167, კნ. ვარდო მაქსიმელიშვილს (ბახვში); 168, ვაშალომიძეს, ეკატერინას; 169, მარგალიტაძეს მარიამს; 170, ახალაძეს მინადორას; 171, მექვაბის შვილს ლიზას; 172, ლიხოურის ორ-კლასიანს სკოლას; 173, ივანოვისას ანნას; 175, ბერიძისას ალმასის; 176, კვაშალის კატოს; 177, ფიალკოვსკისას ვიტალიას; 178, ჯაყელს ვარდოს; 179, ცინცაძეს ებანას; 180, ჩიგოგიძეს პელაგიას; 181, ცინცაძეს თეოდორას; 182, ლანჩხუთის ორ-კლასიანს სკოლას; 183, ცინცაძეს დიად. ევსტაფის; 184, ჭელიძეს მარინა მაქსიმეს ასულს; 185, შუბლაძეს ელისაბედს; 186, სალუქვაძეს პელაგიას; 187, გოგონაძე ლასიანის; 188, სალუქვაძეს გაიანეს; 189, ცინცაძეს ტერეზიას; 190, ხელაძეს ლადოს; 191, მუჯირს ესმას; 192, კალატოზოვისას მარიამს.

ს. ნაგომრის გამოფენაში:

193, თალაკვაძეს იაკინთე იულიანეს ძეს; 194, სიროძეს სიმონ პეტრეს ძეს; 195, სიამაშვილს ანტონ მაქსიმეს ძეს; 196, ანთიძეს სიოს; 197, სიროძეს მახარობელს; 198, ახალაძეს მალაქიასა და 199, ვაშალომიძეს და სხვანი.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აპრილი

კაპშტადტი. უკანასკნელ 48 საათის განმავლობაში 16 კაცი გახდა შავი ჭირით ავად, მათ შორის 8 ევროპიელი. აქამდის შავი ჭირით ავად გახდა სულ 519 კაცი, რომელთაგან 217 გარდაიცვალა.

პეკინი. ლოფთან რკინის გზაზედ მომხდარი უბედურობა გადმოვარდნილ მიწის ზვავმა გამოიწვია.

კაპშტადტი. 400 ბური მოულოდნელად თავს დაესხა ახალშენის ჯარის რაზმს, 25 კაცს, კრონშტადტიდგან 15 მილის მანძილზედ; 8 საათის განმავლობაში ებრძოდა ეს 25 კაცი ბურებს, 14 ბური მოჰკლა და რამდენიმე კაცი დასჭრა. ჯარის კაცებს საომარი მასალა შემოელიათ და დანებდნენ ბურებს, რომლებმაც იარაღები წაართვეს მათ და განათავისუფლეს.

პრეტორია. ბურებმა უბედურება მოახდინეს სამხრეთით მიმავალ სასანიტარო მატარებელზედ, რომელშიაც ავადმყოფი ჯარის კაცნი იყვნენ; რამდენიმე ავადმყოფი დაშავდა. მეორე მატარებელი, ცხენებიანი, ააფეთქეს სპრინგფონტეინთან; ბევრი ცხენია დახოცილი.

ლონდონი. დრინოკის სიმაგრიდგან იუწყებიან, რომ პლუმერის მიერ მრავალ დატყვევებულთა შორის ურევია სახელმწიფო მადნების ინჟენერად ნამყოფი მუნიკი, აგრეთვე მისი მამა, ყოფილი ლანდრისტი პეტერსბურგისა და როკბურგისა.

პეკინი. ამერიკის წარმომადგენლის როკგილის ცდამ იმ ჯილდოს თანხის შემცირების შესახებ, რომელსაც ჩინეთისაგან თხოულობენ, უნაყოფოდ ჩაიარა.

ოდესა. აქ მოვიდა კონსტანტინოპოლიდგან პეტერბურგში მიმავალი რუსეთის ელჩი ოსმალეთში ზინოვიევი.

ხარკოვი. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ხარკოვის მეორე გიმნაზიის მოსწავლე ივანოვი, რომელსაც დირექტორის ტიხანოვიჩის მოკვლა ბრალდება, და გარდაუწყვიტა დაუბრუნდეს მშობლებს, რომელთაც უნდა თვალ-ყური ადევნონ შვილსა.

ბერლინი. როგორც ვოლდერზეე იუწყება, 10 და 11 აპრილს, შანსისთან ბრძოლის დროს, ჩინელებს უკან დაახევინეს ნემცებმა და მათი სიმაგრეები დაიჭირეს. ძველ სისტემის იარაღების გარდა, 18 ახალი სწრაფ-მსროლელი იარაღი წაართვეს. ნემცებს მოუკლეს ერთი პორუჩიკი და 7 ჯარის კაცი, მძიმედ დაუჭრეს 11 ჯარის კაცი და 4 ოფიცერი, ხოლო 24 ჯარის კაცი მსუბუქად დაჭრილია.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდგან: „კიტჩენერის მსროლელი ჯარის კაცები პოლკოვნიკის გრენფელის უფროსობით თავს დაესხნენ ვანრენენსბურგთან და კლიპდამთან დაბანაკებულს ბურებს, 7 ბური მოკლულია და 37 ტყვედ წაყვანილი; გარდა ამისა ხელთ ჩაიგდეს 8000 პატრონი, ყველა ფურგუნი, ურმები, ხარები, ცხენები და ჯორები. ინგლისელებს ერთი კაცი დაუჭრეს. მეორე რაზმიდგან იუწყებიან, რომ მოკლულიაო 3 ბური, 58 ტყვედ წაიყვანეს და 57 ბური თვითონ დანებდნენ; წაართვეს ერთი სწრაფ-მსროლელი იარაღიო".

17 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა, დიდებულის სარდლის გენერალისიმუსის თავად სუვოროვის სახელის მარად მოსაგონებლად, ბრძანა, 1-ლ დონის ყაზახთა რაზმს დაერქვას გენერალისიმუსის იტალიის თავადის გრაფ სუვოროვ რიმნიკელის 1-ლი ყაზახთა რაზმი.

არხანგელსკი. დვინაზედ ყინული დაიძრა.—გუშინ საპატიმრო ციხეში მოკლულ იქმნა ორი მეთვალყურე.

ქერჩი. რუსეთის საზოგადოების ცეცხლით მავალი გემი „ცესარევნა" ქერჩსა და იალტას შორის დაეჯახა აფრიან გემს „ორიოლს", რომელიც დაიღუპა. გემში მყოფი ექვსი კაცი გადარჩა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კრანბორნმა განაცხადა, რომ მთავრობას ოფიციალური ცნობა არ მიუღიაო იანცზეს პროვინციაში გამოწვეულ უკმაყოფილების შესახებ. ტიან-ძინისა, ვეიხაიეისა და გონ-კონგიდგან ცალკე ჯარები გაჰყავთ, შანხაიში პირიქით რაზმის შემცირებას ამ ჟამად არ აპირობენ.—შემდეგ ბროდრიკმა შენიშნა, რომ ინდოეთში მოყვანილ ტყვე-ბურთა მოსათავსებლად ახმადნაგარი არის არჩეული, რომელიც ჯანმრთელი ალაგია. ბრიტანიის ჯარები იდგნენ მანდ მრავალ წლის განმავლობაში და ამას არავითარი ცუდი შედეგი არ მოჰყოლია; მიღებულია ზომები აგრეთვე წმინდა წყალი და სხვა სანიტარული საშუალებანი მიაწოდონ ტყვე ბურებს.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდგან დეპეშით იტყობინება, რომ პოლკოვნიკმა გერშელმა კიდევ 4 ბური წაიყვანა ტყვედ და დიდ-ძალი საომარი სურსათი წაართვაო.—გენერალ ბლედმა როსენკალში იპოვნა ტრანსვაალის მთავრობის მრავალი საბუთი და ბანკის ბილეთები; რამდენიმე ბური დატყვევებულ იქმნა; ბევრი ბური თვითონ დანებდა. ვინგის რაზმს ბაზუტალანდის საზღვართან, ვეპენერის სამხრეთით, ბრძოლა ჰქონდა ბურებთან, 5 ბური მოკლულ იქმნა და ორი ტყვედ წაყვანილი; რამდენიმე ცხენი დარჩა რაზმს; ბრიტანიის მხრივ ერთია დაჭრილი. ლეინდენბურგთან 20 ბური დანებდა. მოელიან, კიდევ ბევრნი დანებდებიანო.

ბერლინი. დიდ კედელთან ბრძოლის შესახებ ვოლდერზეე იუწყება: „მიულმანის ბათალიონი კედლის აღმოსავლეთი ჩინელთა მთავარ პოზიციის მარცხენა ნაწილს შეეტაკა და გააქცია კაკვანამდის; მრავალ ძველის სისტემის იარაღის გარდა, 16 ახალი სწრაფ-მსროლელი იარაღი წაართვეს. ვალმენიხისა და მიულმანის მოწინააღმდეგე იყო 7 ათასი ჩინელი. რაზმების უკან დაბრუნება 13 აპრილს დაიწყო; ვილმენიხი ცინხინთან დარჩა იმ დრომდის, ვიდრე ყველა რაზმი იქიდგან არ წამოვა. ფრანგებს უჭირავთ იუზსტინი და ხუალუ ჩვენის მარცხენა რაზმის დასაცველად. ბალიუმ უკვე ბრძანება გასცა, გავიდნენ ხუალუსა და შენტინიდგან".

ბერლინი. იუწყებიან, რომ გენერალ ლიუს წინააღმდეგ უკანასკნელ ბრძოლის დროს ფრანგთა დაუხმარებლობა გამოიწვია ნემეცთა საოცარ სისწრაფით გალაშქრებამო: ისინი მივიდნენ საერთო მოქმედების ადგილში ერთის დღე-ღამით წინ, ვიდრე განზრახვა ჰქონდათ. ბალიუმ, რომელიც გვიან მოვიდა კაკვანში თავისის ჯარის-კაცებით, აღიარა ნემეცთა საოცარის სისწრაფით მოძრაობა.

პეკინი. ლოფის სადგურთან მატარებლის უბედურება მოხდა ქვიშიან გრიგალისა გამო.

პიტერმარიცბურგი. 400 ბური თავს დაესხა ზუმულანდში დაბა მალატინს; პოლიციის ჯარები იცავდნენ დაბას; ამათ შორის მოკლულია ხუთი და დაჭრილია ორი კაცი. ბურები დამარცხებულ იქმნენ და საზღვარს იქით გავიდნენ.

◆

გამოსადეგი ცოდნა

რა საშუალება უნდა იხმაროთ, რომ რძე არ აგეჭრათ.

დიდი სიცხეების დროს, როგორც მოგეხსენებათ, რძე ხშირად სადამომდის არა სძლებს, თუ საგანგებოდ ცივს ადგილას, საყინულეში არ შეინახეთ, და იჭრება. ერთი საუკეთესო და უბრალო საშუალება რძის აჭრის წინააღმდეგ შემდეგია: უნდა აიღოთ ბორის ანუ ბორაქსის სიმჟავე (Борная кислота) მეოთხედი მისხალი და ზედმიწევნით ორ ბოთლს რძეში ჩაურიოთ. ბორაქსის ასეთი მცირედი ნაწილი რძეზედ არავითარს ცუდს გავლენას არ იქონიებს, გემოს არ უცვლის და უვნებელია. სამაგიეროდ, თუნდაც ჩაპანაქება სიცხეში, რძე რამდენისამე დღის განმავლობაში არ აიჭრება და საუცხოვოდ ინახება.

რა საშუალება უნდა იხმაროთ, რომ მცენარეული ზეთი არ დამძაღდეს.

როგორც მოგეხსენებათ, ჭაერის მჟავბადისა გამო ზეთი ადვილად მძაღდება; ამისათვის, თუ გსურთ ზეთი დიდხანს შეინახოთ და არ დაგიმძაღდეთ, შემდეგი საშუალება უნდა იხმაროთ: ჩაასხით ჭურჭელში, მაგრამ სულ არ გაავსოთ და ასე გოჯ ნახევარზედ დააკლოთ ყელში; აიღოთ კარგად გაწმენდილი არაყი, დაასხათ ზევიდგან და პირს კარგად დაჭხუროთ. არაყი ზეთს არ შეერევა, ზემოდგან ექნება მოდგმული, ჭაერს არ ჩაუშვებს და ზეთი აღარ დამძაღდება.

◆

განცხადებანი

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შუქი"-სი

აუწყებს ბ-ნთ პაის პატრონთ, რომ კვირას, 29 აპრილს, დილის 10 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება **საგანგებო საზოგადო კრება.**

შემდეგი საგნებია განსახილველი:

1. 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
2. დამტკიცება ინსტრუქციისა გამგეობისათვის.
3. საკითხი პაიების შესახებ.

(2—29—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 21 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა მოსახნავად ქალაქის მიწა, მე-7 ნაწილში (ნავთლუღში) მდებარე, სადაც წინად ნაგავსა და უსუფთაობასა ჰყრიდნენ.

მსურველთ დაწვრილებითი პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3 – 6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ, 18 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გამგეობის სადგომში მოხდება **საჯარო** ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა მიწის ნაჭერი ალექსანდრეს ბაღში, ზომით 30 ოთხ-კ. საჭენი შენობების ან პავილიონის გასამართავად, სადაც უნდა გაიყიდოს რძე, ჩაი, ყავა, შოკოლადი, გასაგრილებელი სასმელები და ცივი საჭმელები. უნდა წარმოდგენილ იქმნას ბე 100 მანეთი.

დაწვრილებით განხილვა პირობებისა შეიძლება გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3 – 6.—2)

---

*) იხ. „ივერია" № 83.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხ

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.